ბიზნესის სკოლა (ESM)

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფინანსების მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

70 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საფინანსო დისციპლინების დამატებითი და სპეციფიური ცოდნის მიღება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისათვის. საფინანსო მოდელები რთულდება და საბუღალტრო კონვენციები უფრო მრავალასპექტიანი ხდება.

საგანმანათლებლო პროდუქტების მოთხოვნაზე დაკვირვებით, აბიტურიენტების, ბაკალავრიატის სტუდენტების, კარიერის დასაწყისში მყოფი პროფესიონალების და მაგისტრანტების საჭიროებებსა და მოლოდინებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ მათი ინტერესები ფინანსების დისციპლინების მიმართ მზარდია და სულ უფრო სპეციფიური ხდება.

ისინი აცნობიერებენ, რომ ფინანსების, მისი მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების ცოდნა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და მოთხოვნადია ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალისათვის.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმაონ საფინანსო დისციპლინების თეორიული ცოდნა, ასევე გაუუმჯობესდეთ კონტექსტის შეფასების უნარები, რათა უფრო გამართულად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას უფრო მაღალი თანრიგის/რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით.

ისინი შეძლებენ ორგანიზაციების და პროექტების ფინანსური ნაწილის მართვას და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. შეძლებენ იყვნენ მთავარი საფინანსო მენეჯერები (CFO).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების ფორმით) წარმატებით გავლა

გამოცდას აქვს ინტერვიუს ფორმა, სადაც მოწმდება:

- კანდიდატის კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიტუაციების ანალიზის საფუძველზე;
- პიროვნული უნარ–ჩვევები, რაც განსაზღვრავს კანდიდატის მოტივაციას, ლიდერობას და ეფექტური კომუნიკაციის უნარს.

მაგისტრანტობის კანდიდატის საერთო სამაგისტრო გამოცდაში მიღებული ქულის კოეფიციენტი არის 0, ხოლო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გამოცდის კოეფიციენტი არის 100.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. სიღრმისეულად იაზრებს და ჰოლისტურად განიხილავს ფინანსების შემდეგ სფეროებს: ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, რისკები და ინვესტიციები, ფინანსური მენეჯმენტი და სტრატეგიები.
2. განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკას ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.
3. ავლენს კომპანიის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს.
4. სიღრმისეულად აანალიზებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას რისკების, ხარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით მისი მდგრადი განვითარებისათვის. ბიზნეს-ღირებულებების, სამართლებრივი გარემოსა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.
5. შეიმუშავებს ინვესტიციების მოზიდვის, ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების სტრატეგიებს, ბიზნესმოდელებს, პროექტებს და ახდენს მათ შეფასებას.
6. კრიტიკულად იაზრებს ლიდერობისა და თანამშრომლობის პრინციპებს და იყენებს მათ გუნდში მუშაობისას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი
- ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- ქეისების განხილვა (case studies)

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება; აქტიურობის შეფასება; შუალედური გამოცდები; საშინაო დავალებები; ქვიზები; პრაქტიკული სამუშაოები; პროექტები; ანგარიშები; წერითი ნაშრომები; ესეები; ზეპირი გამოკითხვა; პრეზენტაციები;

ღია/დახურული ტესტები; დასკვნითი გამოცდები და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი –91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა

(C) კარგი – 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა

(E) საკმარისი – 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

კურიკულუმი შედგება ორი მოდულისგან. მეორე მოდული მოიცავს სადიპლომო ნაშრომს.

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და მოდულური გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.